საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები

საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, აფხაზები, ოსები, ქურთები, რუსები, ბერძნები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, თურქები, ჩინელები, არაბები, ბოშები საქართველოშიც მრავლად ცხოვრობენ, რომელთაც ეროვნებით ქართველი მოქალაქეებისაგან, ადათ-წესები, კულტურა, რელიგია და სამეტყველო ენა განასხვავებს.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ, საზოგადოების ერთი ნაწილი დღესაც უარყოფითადაა განწყობილი.

ბორჯომში მცხოვრები, 25 წლის გიორგი ოგამესიანი გვიყვება, რომ ,,არმენოფობიამ" მას პრობლემები ბავშვობიდან შეუქმნა. რაც მის სასკოლო ცხოვრებაში, სპორტულ საქმიანობასა და ზოგადად, ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახა.

,,ბავშვობაში ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა თითით ჩვენება-,,ეს სომეხია!", თუმცა საბედნიეროდ, იყო მრავალი ისეთი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში, ვინც ჩემს ეთნიკურ იდენტობას ღირებულებით ნიშანს სძენდა. მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა- ,,არ გაბედო და გვარის გადაკეთებაზე არ დაფიქრდე!" მამაჩემი ფეხბურთს ძალიან მაღალ დონეზე თამაშობდა. ითამაშა მოსკოვის ტორპედოში, ზუგდიდის დინამოში და როდესაც საქმე თბილისის დინამოზე მიდგა, მას სთხოვდნენ გვარის გადაკეთებას. გარშემოც, სამეზობლოში, სანათესაოშიც კი იყო ისეთი ფაქტები, როდსაც ადამიანს გვარის გადაკეთებას სთხოვდნენ უნივერსიტეტში ჩაბარებისას. სამწუხაროდ, ფარულად, თუმცა ხშირ შემთხვევაში პირდაპირაც, დღესაც გვიწევს იდენტობის გამორკვევის პროცესში ბრძოლა. ხშირ შემთხვევაში ირიბი, მაგრამ არის შემთხვევები, როცა პირდაპირი ბრძოლაა, მათ შორის, როცა ყარაბაღის ომის მიმდინარეობა, პირდაპირაც იყო მოწოდებები-,,თუ ასეთი პატრიოტი ხარ, რატომ არ მიდიხარ

ბრძოლის ველზე და რატომ არ ომობ?!"- ამბობს გიორგი ოგამესიანი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოში მცხოვრები განსხვავებული ეროვნების ეთნოსები, იმ ძლიერ მექანიზმებზე საუბრობენ, რაც მათ თვითგამორკვევის პროცესში ეხმარება. მათივე განცხადებით ამ მხრივ, არაფორმალური განათლება უდიდეს როლს თამაშობს, რათა ეთნიკური განსხვავებულობა მათთვის გამხდარიყო ღირებულება და არა ტვირთი.

,,ნიჭი ზუსტად მრავალფეროვნებაშია და ამ თვითგამორკვევის პროცესში ძალიან ბევრჯერ დამეხმარა ჩემი მრავალფეროვანი კულტურა, წეს-ჩვეულება, ჩაცმის სტილი, მოქცევის წესი და ა.შ. მე ამით ვამაყობ და სადაც არ უნდა წავიდე, არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, ამაყად ვიტყვი, რომ მე ვარ ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, თუმცა ისევე მიყვარს და ისევე ვზრუნავ ჩემი ქვეყნის განვითარებაში, როგორც არა ეთნიკური უმცირესობის, არამედ უმრავლესობის წამომადგენელი ქართველი."- განაცხადა მან.

გიორგი ოგამესიანი დღეს აქტიურად არის ჩართული ისეთ აქტივობებში, რაც ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლებს მისცემს სტიმულს, თამამად ჩაერთონ სამოქალაქო პროცესებში და მათი ეთნიკური წარმომავლობა მათთვისაც არ გახდეს ისეთივე პრობლემების მომტანი, როგორიც ოგამესიანმა ბავშვობიდავნე განიცადა.

ეთნიკურ უმცირესობებსა და ხელისუფლებას შორის კონსულტაციებისა და დიალოგის წახალისების, უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესში რეკომენდაციებისა და შენიშვნების შეთავაზების; უმცირესობათა უფლებების დარღვევისა და კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნისას დროული რეაგირების მიზნით, 2005 წლის 16 დეკემბერს, სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო დაფუძნდა. საბჭოში გაერთიანებულია ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ოთხმოცზე მეტი ორგანიზაცია და დიასპორა როგორც დედაქალაქიდან, ასევე რეგიონებიდან. საბჭოსთან მოქმედებს განათლებისა და კულტურის, იურიდიულ საკითხთა, რეგიონული ინტეგრაციისა და კონფლიქტების პრევენციის, მედიისა და ახალგაზრდულ საქმეთა ჯგუფები.

ავტორი:ანი ქავთარაძე